

რედაქცია: სოლომონაძე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.
ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Bz. The press. Bz. redakcio gas. „ბუზაბა“
გაზეთის ფასი: მთელის წელი—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან., კაზის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფრთხილ

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასკო-გბით ასოზე—1 კაპ., ასკო-მთავრად სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის კაპიტალით—5 კაპ., პატარაში—1 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაზედთ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 23 მარტს. საზოგადოება-თა პალატაში მინისტრმა ბორკსმა, პამერონის პასუხად, სთქვა: ინგლისის მთავრობამ შეიტყო ჟუშინ, რომ საფრანგეთს დაუპყრია მატაკანის კუნძული. სერრა-ლეონის ღენერალ-ოტორნიემ პროტესტი წარადგინა ამასზედ. ამჟამად საგნის შესახებ ბრიტანიის მთავრობამ პასუხი მოსთხოვა საფრანგეთს.

პეშტი, 23 მარტს. მინისტრმა ტისსამ სთქვა პენგრის სემინ წარმომადგენელთა პალატაში, რომ აღმოაჩენეს რუმელიის შესახებ გარდაწყვეტილი ჯერ არა არის-რად და ამიტომ ამ ქაშად მხოლოდ იმის თქმა შემძღიანო, რომ ამ ცდაგანზე მოლაპარაკებაში პირველი აღდგოლი პესტრიასა და ინგლისს უჭირავთო.

პეტერბურლი, 25 მარტს. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღ-

ლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მედიკო-ხარურგის აკადემია მომავლის წლიდამ გადაკეთდება სპეციალურ-სამხედრო მედიკურ აკადემიად; მასწავლე-თა რიცხვი იქნება სულ 500; ყველა სახელმწიფო ხარჯით გაიზრდებიან; მაგრამ მაგივრად ვალდებული იქნებიან, რომ რამდენ წელიწადსაც დაჰყოფენ აკადემიაში, იმდენი წელიწად-ნახევარი იმსახურონ სახელმწიფო სამსახურში; აკადემიაში იქნება მხოლოდ სამი უფროსი კურსი, ორი კურსი გაუქმდება; აკადემიაში მიიღებენ უნივერსიტეტის მედიკინისა და ბუნებით მეცნიერების მეორე კურსის სტუდენტებს. სტუდენტმა აკადემიაში შესვლის დროს დაწესებუ-ლი ფიცი უნდა მიიღოს.

პრესალი, 24 მარტს. სენატმა მიიღო წინადადება, რომ სამშობლოში დაბრუნებულ პოლიტიკურ დამნაშავეები-სათვის ხაზინამ 300,000 ფრანკი და-ხარჯოს.

სენატის სხდომები 8 მაისამდინ. შესწყდა და ნაციონალურ ქრებისა 15 მაისამდინ.

სურათები ჩვენი ცხოვრებიდან

I

ძვირფასი ორ ეტაჟიანი სახლის მეორე ეტაჟის ერთი დიდი ოთახი განათებულია დიდი ლამპით, რომელიც სრულის სიუხვით აბნევს თავის მკრთალ შუქს მთელ ოთახში და ცდილობს ყოველივე ნამცეცხვ კი ცხადთ დაანახოს თვალს. პედლებზედ ჰკიდია მოვარაყებულ დიდ ჩარჩოებში ძვირფასი სურათები სხვა-და-სხვა შესანიშნავ გემათა; თანჯრებზედ დგანან მაღალ-მაღალი ვახუბი; აქა-იქ თეთრად ანათებენ მარმარილოს სტოლები. მრთ სტოლზედ დგას ვეებერთელა მრგვალი მინა, რომელშიაც ამოუყვიათ თავები ორ ადამიანის სტატუებს, ამათ თავზედ უდგიათ მოვარაყებულ საათი, რომელიც კრიკინასავით დაუღალავათ კრიკინებს; ამას ზემოდამ დასცქერია კედლის დიდი საათი, რომლიდანაც მოისმის უფრო ბოხის ხმისა და მძიმეთ ჩანა-ჩუნი. მრთ კუთხეში დგას ფორტუპიანი, რომელსაც აქეთ-იქით კედელზედ უდგიათ ატუხულები ელვარე იატაკიდან თითქმის ჰერამდი კედლის სარკეები. მდგმურები არ დაკმაყოფილებულან ერთი ლამის სინათლეს და, თითქო თვალსაკლიათო, აუნთიანთ მეორეც პირ-და-პირ სტოლზედ და ორი სტუარინოვის სანთელი სარკე-

საქართველო

დღიური

შიოშის ძვირის მამკვიდრობა

ამ ერთის თვის წინათ ჩვენს ქალაქში გარდაიცვალა ერთი სომხის მდიდარი ქერივი—ნატალია შიოშისა.

აქაში შესანიშნავი არა არის-რა: მოგვხსენებთ, ადამიანის სიცოცხლე ისეა მოწყობილი, რომ ქერივებიც იზოცებიან, ქმრიანებიცა და გასათხოვარი ქალებიცა. მაგრამ ამ ნატალია შიოშის ქერივის გარდაცვალებამ მთელი ქალაქი ააღაპარა.

და ამის მიზეზიც ის გახლდათ, რომ ქალაქში გავარდა ხმა, რომ მიცვალებულმა თითქმის მთელი თავის სიმდიდრე, ყველა თავის უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც თითქმის ერთს მილიონამდინ მიაღწევსო, ქალაქს მფილისს უანდრძაო იმ პირობით, რომ ქალაქმა ეს ქონება ღარიბ მცხოვრებლებს განათლებასზე მოიხმაროსო!

ბევრი შენდობა, ბევრი „ცხონდა მისი

ებთან ოქროს სასანთლებებში. ისეთი სისუფთავეა, რომ ქინძისთავის ოღნაც არა გდია-რა არსად.

ძირისტიშობისთვის მიწურულია, ჰა, ხვალ, თუ ზეგ ნანვარი, ახალი წელიწადი ღებო. მოწმენდილი ღამეა და ისეთი ცივი, რომ ძალღებსაც კი ვერ გაუძლიათ კარზედ.

ისეთი სიჩუმეა ყველგან, რომ კოლოს ფრენას გაიგონებთ. ამ სიჩუმეში მოისმის საღლაქ ქართული სიმღერის კილო, რომელშიაც მომღერალი ხან წარსულს იგონებს, ხან აწყყას და გულ-დათუთქული ჰგმობს თავის ცხოვრებას, თავის ტყვეობას; თხოულობს შემწეობას, შეწყნარებას!..

ზემოთ აწერილ სახლში ამ დროს წარმოსდგება შემდეგი სურათი:

საცაა მალწლიაც მოვა ჩვენთან! მუბნებოდა ნინუცა თავის უნკროს დას: გუშინ პირობა მამცა, სალამოზე თქვენთან შემოვალ, მოვილაპარაკოთ თქვენ მშობლებთან და ისე ერთად წავიდეთ კნიაზ პოტესთან ბალშიო!

— ახ, მართლა ამბობ, ნინუცო-ჯან! მამცა მამცა აქ მოვა მალოდია? მიუფო ძატამ.

— შენმა გაზდამ-მეთქი, ქალო! მე პირობა მამცა და როგორ შეუძლია პრ მოვიდეს! მე ის მიკვირს, რათ დანიგვიანა!

სული“ შეუთვალეს მიცვალებულს. ძალაქის რჩევაში, რომელშიაც ეს ამბავი მიცვალებულის ერთმა ანდერძის ამსრულებელმა (ლუშპრიკასჩიკმა) უფ. ლეონ პარლოს ძემ მოლიმირზოვმა გამოაცხადა, ყველა ხმოვანები, მადლობისა და თანაგრძნობის ნიშნად, ფეხზე აღდგნენ...

დიდ მადლობას უძღვნიდა ყველა უფ. ლ. პ. მოლიმირზოვს, რომელსაც ამ ანდერძის დაწერას მიაწერდნენ, და აგრეთვე დანარჩენ ორ ანდერძის-ამსრულებელთ—უფ. ივანე თულაშვილსა და არტემ თამაშოვს.

შველას, ვისაც საწყალი ხალხისათვის გული შესტკივა, უხაროდა ამისთანა სიმღერის შეძენა ქალაქისაგან, ამისთანა ღონისძიების მოპოება ხალხის განათლებისათვის. შველა ემადლიერებოდა უფ. მოლიმირზოვს, რომ იმან თავის კერძო სარგებლობა დაივიწყა და ასეთი კაცთა მოყვარებით ანდერძის დაგდება ჩააგონა მიცვალებულსა... მართის სიტყვით, იყო საზოგადო კმაყოფილება და მადლობა...

შავიდა ერთი კვირა; საზოგადოებაში რალაც ქორივით შეიქნა ლაპარაკი, რომ შიოვეის ქერივის ანდერძს სრულებით ისეთი აზრი არა აქვს, როგორც ბევრს ჰგონიაო; ანდერძით, მემკვიდრეობა შიოვეისა მთელი ქალაქის ღარიბ ხალხისათვის კი არ არის დანიშნულიო, მარტო სომხებისთვისაო.

ორი კვირის შემდეგ ამ ქორებს კიდევ სხვა ქორები მოემატა: ამბობდნენ, რომ მემკვიდრედ მართალია ქალაქიო, მაგრამ, ანდერძის ძალით, ქალაქს ამ მემკვიდრეობით სარგებლობა არ შეუძლიაო, ყველაფერი უფ. მოლიმირზოვის, თა-

— ძალიან დარდიმანდი ახალგაზდა არა ის წყევლი! მართლა და სასიამოვნოა იმასთან წასვლა! მხიარულობის მეტა არა იპოება რა იმაში! სულ იმას ცდილობს, რომ ქალი რითიმე ასიამოვნოს, იმის ხუმრობას ბოლო არა აქვს!

— რა კიდევაც უხდება ყველაფერი იმ წყევლს! ახ, ნეტავ ჩქარა მოვიდეს!

— მაშ იმასთან წავალთ, ნინუცი!

— ნამდვილად, შენმა გაზდამ! აკი გითხარ, გუ...

— რაა, ქალებო, რას ლაპარაკობთ? ჰკითხა ამთ სალომემ.

— არაფერს, დედაჯან, ისე ჩვენთვის ელაპარაკობთ.

— ნინუცი! მგონი, რომ ხეალ აღის ფერი კაბა რო თეთრი ტუნიკით ჩაიცვა, ისა სჯობდეს ბალში წასასვლელად! მაგ ფერი ტანისამოსი ძალიან მოსწონს კნიაზ პატეს. შთხრა სალომემ თავის უფროს ქალს.

— მჰ, რას ბრძანებ, დედა-ჯანი! შენ სულ თავ-გზას ამირევ ხოლმე! რა დიდი ხანია, რომ იმ კაბით ვიყავ მე კნიაზთან ბალში. მეორეთაც ხომ იმითი ვერ წავალ. მართალია, მაშინ ტუნიკი ლაქვარდით გაწყობილი მეცვა, მაგრამ სულ ერთია! არა, დედაჯან, მე ეხლა სხვა კაბა მაქვს სახეში...

— სულ ერთი რათ იქნება, ქა! მაშინ

მამშვეისა და თულაშვილის ხელში იქნებაო, როგორც უნდათ, ისე დაატრი-ალეზენ ისინი მიცვალებულის ქონებასაო, არც ისეთი უანგარობა გამოუჩენიათ იმათ, როგორც ჰფიქრობენო და სხვ. და სხვ.

ამგვარ ხმებმა ცოტა გააგრილა საზოგადოების აღტაცება; ყველა უნდოდა შეეტყუა—რა იყო ეს ანდერძი? როგორ იყო ის შედგენილი? მარტო სახელი ერგო ქალაქს, თუ სახრავიც?

ბოლოს ამ თვის 24-ს ჩვენ წავიკითხეთ „თფილისის მოამბეში“ სრული ანდერძი მიცვალებულის ნატალია შიოვეისა.

ბევრი დარჩა პირ-ლია, გაკვირვებული და გაოცებული ამ ანდერძის ხილვითა. მანაკუთრებით ძალაქის რჩევის ხმოვანები იყვნენ გაბრაზებულნი:

— მაშ რისთვის „გამოგატყველეს მადლობა?“ მაშ რად ვეცით მიცვალებულს ამისთანა პატივი? რად ავდექით ფეხზე?—მატყარებულად იძახოდნენ ხმოვანები...

მართლა, როგორია ეს ანდერძი?

საუბედუროდ, ადგილის სიფიწროვის გამო, ჩვენ ვერ მოგვეყვას ეს ანდერძი; სრულიად მოყვანა იმისი მაინცა-და-მაინც საჭიროც არ არის. იმ რამდენიმე მუხლიდამ, რომელთაც მოვიყვანთ ამ ანდერძიდან, მკითხველი ადვილად დაინახავს—თუ რა ხელოვნებით, რა ოსტატობით და რა ჩინოვნიკური „კრუჩკებით“ არის ის დაწერილი, დაინახავს აგრეთვე, რომ ის ხმები, რომელნიც დადიოდნენ ამ ანდერძზე, ქორები კი არ ყოფილა, ყოფილა ჭეშმარიტება.

მეორე მუხლში ანდერძისა სხვათა შორის სწერია:

ლაქვარდით გაწყობილი გეცვა, ეხლა კი თეთრ ტუნიკს ჩაიცვა; მშვენიერად დაუთოვებულიც არის შენს ბედზე!

— არა, გეთაყვა დედი-ჯანი! არ ჩაიცვამ! მე კარგათ ვიცი, რომ კნიაზს თეთრი ტუნიკი არ მოსწონს, იმას ცისფერი უფრო უყვარს!

— თეთრი უყვარს-მეთქი, ქალო! შინ უნდა მასწავლო, რა უფრო მოსწონს!

— თუნდა მაგრე იყვეს, მაგრამ მე მინდა, რომ არ ჩაიცვა თეთრი, ცისფერი ავირჩიე და რა გქნა!

— ცისფერს ძატრა ჩაიცვამს და შენ აღისფერით შეგიძლია წახვიდე!

— მადლობას მოგახსენებთ! მე თითონ მინდა, ცისფერი ჩავიცო! მე ძატრა არ ვიცი, რაც უნდა ჩაიცვას!

— ბევრს ნუ მიჰქარამ-მეთქი! მე შენ გეუბნები, შე ჯუტო! მე ჩემი საქმეა! მე უნდა გამოგიყვანოთ თქვენი ხალხში! მე დედა ვარ და ვიცი, როგორც სჯობია!

— დედა ხართ, დედა იყავით! მე კი არ ჩაიცვამ მაგ ტანისამოსს და როგორც გსურდესთ! რა საჭიროა ქა! სულ არ მივიღივარ იმ ბალში! არც ეხლა იქნება!

— ძაა! ბენაცვით, უყურეთ ამ საძაგელს! ამ ჩემ ქორს, თუ არ წამოხვალ! შ-შენოთ ველარ წავსულვართ, არა! აბა თუ ერთხელ ჩემი სიტყვა გაიგონოს, ამ

... რადგანაც ხალხს უყვარს დედა-ბისა და გონების განახლებას, საუკეთესო საშუალება არის შკოლა, ამის გამო მომეტებულ ნაწილს ჩემის ქონებისას მე შევსწირავ შკოლის ანუ შკოლების გასამართავად საკუთრივ სომხებისათვის, იმ სომხებისათვის, რომელნიც თფილისში ცხოვრობენ.“

მეხუთე მუხლში ანდერძისა მოხსენებულია:

„ამ ჩემი ანდერძის-აღმასრულებელთ (ე. ი. ლ. პ. მოლიმირზოვს, არ. თამაშ-შვესა და ივ. თულაშვილს) მივანდობ, ჩემის სიკვდილის შემდეგ, სანამ ცოცხალი არიან, განაგონ მთელი ჩემი ქონება და როგორც თვითონ საუკეთესოთ დაინახვენ, ისე მმართონ.“

„იმათ შეუძლიანთ დააგირაფონ ჩემი სახლები, საცა უნდათ, და გადაინადონ ჩემი ვალები ვექსილითა ანუ სხვა საბუთებით აღებული და აგრეთვე უსაბუთო ვალიც; ძალა აქვს თუ არა ამ უვექსილო, უსაბუთო ვალებს, ამის დაფასება ჩემი ანდერძის-აღმასრულებლების მიმინდვია.“

ანდერძის მეშვიდე მუხლი ამბობს:

„ანდერძის-აღმასრულებლებს ეძლევენებას, თუ საჭიროთ დაინახვენ, ჩემი დიდი-სახლი, რომელიც ბალაიენის პროსპექტზე დგას, და აგრეთვე აბანოებთან რომ ქარვასლა მაქვს გაჰყიდონ ქირის შემოსავლის დაგვარად, და აღებული ფული ანდერძით მოიხმარონ.“

მუხლი მეათე:

„მთელი ჩემი მამულის შემოსავლი-დან ათის თავს ეძლევენ ლ. პ. მოლიმირზოვს, ოცის თავს ივ. თულაშვილს და ოცის-თავსაც მესამე ლუშპრიკასჩიკს არტ. თამაშვეს.“

სიყმე შევმა! აი, ამოვარდეს ე თქვენი სწავლა, რო ეგრე უფროსების წინა-აღმდეგნი გამოდინართ, ამოვარდეს!

— რა ამბავია, სალომე! მუდამ ეს ჩხუბი როგორა გაქვს რალაც ჩერებზე-და! მისაც რა უნდოდეს, ის ჩაიცვას! მაგონილა? მოისმა ბოხი ხმა სტეპკოსი, რომელიც მოშორებით იჯდა სტოლთან და ჰკითხულობდა „სიბრძნე სიცრუის“ წიგნს.

— დამეხსენ, თუ ღმერთი გწამს!... დედაქ და იკითხე, რასაც ჰკითხულობ! მიუყო სიანხლით სალომემ.

სტეპკომ აავსო გრძელ ტარიანი კასრის ოღენა ჩიბუხი და გააბოლა მაღიანათ.

— სალომე! შენ ხომ იმას არ ჰფიქრობ, რომ საქმე პატიოსნებაა, გაზრდილობა, მოქცევა და არა ჩერების არჩევა!

— რაო! ჩერებზეო? მგლა მაკლდა შენგან! მაშ ჩაიცვით თქვენი ძველი პალტო და ისე გაბრძნდით საზოგადოებაში! ძაცები რალათ გამოიპრან-ქებით ხოლმე?

— რას ამბობ, ქალო, რას! მს ენა შენზე პატარაა, განა დიდია! როგორც გინდა, ისე დაატრიალე! შინ გეუბნებათ, ნუ გამოიპრან-ქებითო! ამის თქმას როგორ გაგიბედავსთ ქალებს კაცები! მაგრამ მე ვამბობ, ვისაც რითაც უნდოდეს,

მეცამეტე მუხლში მოხსენებულია: „როდესაც ყველა ეს სამი ჩემი ანდერძის - აღმსრულებლები მოკვდებიან, ჩემი ქონების გამგება ჩამიბარებია ქალაქის საზოგადო თვით-მმართველობისათვის (ჩივეისათვის), რომელიც შეიქნება მემკვიდრე ამ ქონებისა და რომელიც ვალდებულია ანდერძის-და-გვარად მოიხმაროს ყოველივე...“

შემდეგ ამავე მუხლის ბოლოს ეს სიტყვებია დაწერილი:

„თუმცა ამ ანდერძში ეხსენიება, რომ ქალაქი თვითისი მხოლოთ ჩემი ანდერძის - აღმსრულებელთა სიკვდილის შემდეგ უნდა შეიქნეს-მეთქი ჩემი ქონების სრულ პატრონად, მაგრამ მე თანახმა ვარ, რომ, თუ კანონი მოითხოვს, ქალაქი ჩემი სიკვდილის შემდეგვე გახდეს ამ მამულის მფლობელად მხოლოთ იმ პირობით კი, რომ ღუშე პრიკასიჩიკები, სანამ ისინი ცოცხალი არიან, იყვნენ და უკითხავ გასგებლვად ჩემი მემკვიდრეობისა და არავის არ ჰქონდეს უფლება, რომ ამათზე ან საჩივარი და ან უკმაყოფილება განაცხადოს...“

რადგან ქალაქი თვითისი ჩემი მემკვიდრეობის პატრონად ხდება, ამიტომ ჩემი სიკვდილის შემდეგ, ყველა ჩემი სახელობი განთავისუფლებულნი უნდა იქმნენ დასაფასებელის გადასახადისაგან (отъисчислени отъ платежа).

ღე უკანასკნელი მე-15 მუხლი ამბობს:

„თუმცა მე ვერ წარმოვიდგენ, რომ ქალაქმა უარი სთქვას ჩემს მემკვიდრეობაზედ, მაგრამ თუ ეს მოხდა, მაშინ იმის უფლება ჩემს კანონიერ მემკვიდრეებზე გადადის.“

აი ეს არის უმთავრესი მუხლები ნატალია შიოვეის ანდერძისა.

პრა გვგონია, რომ განმარტება ამ ანდერძისა საჭირო იყვის მკითხველი-

სათვის ცხადია, რომ ამ ანდერძით სახელი, მხოლოდ სახელი არის ქალაქისა და სახრავი სარგებლობა კი უფრო უფ. მლიმირზოვისა, თუღაშვილისა და მამამშვიისა. ისინი არიან განუკითხავნი გამგებელნი ამ მემკვიდრეობისა, იმათ შეუძლიანთ, როცა ჰსურსთ და როგორც ჰსურთ დააგვირავონ და გაჰყილონ შიოვეის ქვრივის მთელი მამული; იმათ წინააღმდეგ კაცს არ შეუძლიან ხმა ამოიღოს, იმათ უკანონო მოქმედებებზე ჩივილი არ შეიძლება; შეუძლიანთ გახსნან შკოლა და შეუძლიანთ არ გახსნან; ანდერძი ნებას აძლევს იმათ, რომ ორი-სამი ყმაწვილი გამოზარდონ საღმრეთო სამეურნეო ან ტექნიკურ შკოლაში და ამით დაეკავშირდონ.

მეტყვიან: შიოვეის მამულიდამ წელიწადში უკანასკნელი სამი-ოთხი ათასი თუმანი შემოსავალი იქნებაო და ამ შკოლაზე ან შაგირდებზე რომ უფ. მლიმირზოვმა და იმის ამხანაგებმა მხოლოდ ორასი ან სამასი თუმანი დახარჯონ, — როგორ შეიძლებაო! ამაზე მოგახსენებთ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ უფ. მლიმირზოვის და იმის ამხანაგების კეთილ-სინდისიანობაზედ და სურვილზედ არის დამოკიდებული: თუ ჰსურთ თუ ინებებენ და მოინდომებენ, შეუძლიანთ სულ დახარჯონ კეთილ საქმეზე მთელი შემოსავალი, მაგრამ თუ არ დახარჯვენ, პასუხის მომთხოვი და ანგარიშის ჩამომართმევი არავინ არის, ვერავინ გაბედავს უთხრას ამათ — დანარჩენი ფული რა უყავითო, სად მიდის ამ ქონების შემოსავალიო, რაში ხარჯავთ და როგორ მიგყავთ საქმეო?!

მაგრამ ყველაზე უკეთესი მუხლი ანდერძისა ის არის, რომელიც თხოულობს, რომ, რადგან ქალაქი არის მემკვიდრე შიოვეის ქონებისა, ამის გამო ყველა იმის სახლები დასაფარებელის გადასახადისაგან უნდა იქნეს განთავისუფლებულიო!

ანდერძიდან ვნახეთ, რომ ქალაქი მემკვიდრეა ამჟამად შიოვეისა; როგორც მე ჩინეთის იმპერატორისა; ვნახეთ, რომ მხოლოდ სახელია იმისი, მთელი ეს ქონება კი ანდერძის შემსრულებელთა განუკითხავს განკარგულებაშია — და იგივე ანდერძი თხოულობს, რომ ქალაქმა მუდამ წელიწადს ყინულზე დაწერილის სარგებლობის მაგივრად, აპატიოს შიოვეის მამულებს უკანასკნელი ათასი მანეთი მაინც დასაფასებელი გადასახადი!

მკითხველმა გაშინჯოს და დაფასოს — ამ გვარი მემკვიდრეობა სასარგებლოა, თუ მაზარალებელი ქალაქისათვის.

მკითხველმა გაშინჯოს აგრეთვე — რა სახელი უნდა დაერქვას იმ გვარ პირთ, რომელნიც ამისთანა ანდერძს დაწერინებენ მამაკვდავ უმცარ ქვრივ დედაკაცს...

ს. მ.

წერილი ჩადატორთან

უფ. რედაქტორო

შმორჩილესათ გთხოვთ, თუ შეიძლება ამ ჩემ მოკლეს წერალს მისცეთ ადგილი თქვენ პატივცემული გაზეთის რომელიმე კუთხულში.

მართი წელიწადია, რაც ს. პონდოლში (თელავის უბნში) გაიმართა სასოფლო შკოლა. თუმცა საზოგადოება რომელსაც ეკუთვნის შკოლა, შემძლე და მოზდილია (აქ არის სამას კომლზედ მეტი), ამასთანავე მოსწავლეებიც საქმაოთ არიან და ხალხშია ცოტალოვებასწავლისადმი, მაგრამ საღვამო კი ამ შკოლისა მეტად ცუდია, რომ არა ესთქვით სრულიად არ ვარგაო. მიწრო დაბალი ბნელი და ნესტიანი ორ ოთახიანი ძველი სასოფლო კანცელარია თვისივე აყროლებული ნაობახტით ქვეშ, რომელიც ეხლა მითომ შკოლის სარდაფია, — წარმოგიდგენს სრულ შკოლის

იმითი გამოიპრანჭოს-მეთქი. დაშალა არ იყვეს! შევლას თავისი გემო აქვს. იქნება შენი არჩეული სხვას არ მოსწონს და ამაზე რა გაჯერებს!

— შენ თუ გიყვარს შენი შეილი, მე კი შენზე ნაკლებათ მიყვარს, რომ გამოესარჩლები ხოლმე? მაგრამ მე მინდა დეარვიგო, ჭკუა ვასწავლო, დედა ვარ და აქ შენ რა ხელი გა...

— ჭკუის სწავლება, ჩემო სიცოცხლე, დარიგება ჩერების დაწუნებაზე როდი ჰქილია! რა პატარა შეილები ჩენა გყავს, რომ თაფიანთი საქმე ეგრ გაირიგონ! შრიფე შენა, ასე სჯობს-თქო, თუ არა ჰქნან, თავი დაანებე, რაღა ჩნუბს მოაყოლებ ხოლმე! თუ დარიგება გსურს, ის კი არ უნდა უთხრა ქალებს, რომ ამ ტანისამოსში უფრო კარგი გამოჩნდები, კაცები მოგწონებნო და იმ ტანისამოსში მაიმუნს ჰგეგნარ, არ მოგიწონებნო! ტანისამოსი ტანისამოსია-თქო, უთხარ, აღამიანი ტანისამოსით არ დუფასდება, სხვა ღირსება უნდა ჰქონდეს-თქო. რაო კნიაზს რა მოსწონს და

რა არა! რაო, რომ უთუოდ იმან მოიწონოს! რა არ მოიწონოს არ შეიძლება? რა საფერაო გაგჩენიათ იმ კაცთან! ის ხომ შენი და შენი ქალების შემრთველი არ არის! უთუოდ ისე უნდა ეჩვენოთ, ისეთი ანდამატები მიიკრათ, რომ კაცები მიიზიდოთ! ხო იცი, უამისოთაც ჩვენზე რა ხმები დადიან!...

— რა ხმები დადიან! შენი ქალები საზოგადოებაში პირველები არიან, იცი შენ ესა! და მისთვის ყველა ამათ ეტანებათ! შენ კი რაღაც ქორ-ჭურებს აჰყოლიხარ და ყურს უგდებ, გჯერა კიდევ! რასაკვირველია ყველას შეშურდება, როდესაც კნიაზ პოტე ბალშიაც ბალშიაც, საზოგადოებაშია და თავის სახლშია შენი ქალებით სიამოვნების აღტაცებაშია გაგაყებულისა!

— მსე იგი, გასულწლებული გამოტენებულია!

— შევლას კი შურს და თუნდა მაგრაც იყვეს!

— მერე ვის უნდა უმადლიდეს შენი ქალები იმათთან ამ გვართ მოქცევისა-

თვის? შენ, განა, დედას, ჭკუის მასწავლებელს, დამრიგებელს?

— მეტი პატივისცემა მიიწვ არ იცი შენ ცოლისა! ჩემი ნაშობი და გაზდილი გოგოს გულისთვის ეს ამბავი, ეს ყოფა უნდა გადამხდეს! ღმერთმა გამდელსაც ნუ მისცეს ის ბედი, რომ ეს დღე დაჟენონ ასე ტყუილ უბრალოდ! შენ, ქალბატონო გახსოვდეს, თუ არ მოგიკვდი, მოგაგონებ ერთ დროს! შენი ქვეყნის ოდენა ფეხები დამაწყე ამ კისერზედ, თუ ამ წილიანმა დედაკაცმა მაგიერი არ გიყოს! მიბრძანდი, ჩაიცი რაც მენებოს და შენ და მამაშენი წაბრძანდით! რა საჭიროა; ორი ღლის წუთი სოფელი მაქვს, ყველაფერი სიამოვნებისთვის მიხარია, თორე თუ ეს დღე მექნება, აღიღებულ წყალსაც წაუღიხარო ყველანი! მძარიც სიამოვნებისთვის მინდა და შეილებიცა!.., ბენაცვალეთ! ბენაცვალეთ! ლამის არ გადამულობან ცალკე მამამ და ცალკე შეილმა! მოიცა, ქალბატონო!...

(ზაგრძელება)

შენობის სურათს. ზამთარში სიცივე და ყველა ღროს საშინელი სინესტე, რომელსაც მოსდევს სიცივეში ჰაერის სიღამაზე შეუძლებელათ ხდიან აქ აღამიანის სულის ცხოვრებას.

ამიტომაც მასწავლებელი იძულებული შეიქნა სხვაგან გადასახლებულიყო და თავის სუსტი ჯიბიდან აძლიოს სახლის ქირაც და შეშის ფულიც, რომლებიც საზოგადოების ეალია. შეგირდები, ბიჭები და ქალები, რომელთა რიცხვი ამ ქამად ოც და თხუთმეტია, ისეთ ნაირად არიან გაქედლები, რომ მათში მასწავლებლის გავლა გასაჭირია. ის წაწაწა მოსწავლეები მთელ ზამთარში კარ გაღებულ ოთახში სწავლობენ; თუ კარი დახურეს, ჰაერი შეიგუბება და თან დაბნელებს და ბავშვებმა სულ უნდა თავი დაანებონ სწავლას.

ამიტომ აუცილებელი საჭიროებაა ამ მოკლე ხანში ამ შენობის გადაკეთება და გადიდება. ამ საგნის თაობაზე მასწავლებელს შარშან კათათეში უთხარიან მაზრის უფროსისათვის — უფალ ღროზდვისთვის, მაგრამ მას სრულებით ყურადღება არ მიუქცევია ამაზე და არ უზრუნვია; მას მხოლოდ, თავისი გამოჩენილი ჩინოვნიკის თ. მის. ლეონიდის შემწეობით, ორი-სამი საყვანი ქვიშა და აძლენივე ქვა მიუტარებია საზოგადოებისთვის შეკოასთან და ამით დაუსრულებია თვისი ღვაწლი ამ საზოგადოების განათლებაზე.

საზოგადოება სრულებით არ იტყვის ამ საგანზედ უარს და არც არის მისთვის სამძიმო, მაგრამ მას უნდა ხელმძღვანელო და ეს ხელმძღვანელი ენა უმჯობესია იყვეს ადგილობრივი მაზრის აღმინისტრაცია, რომელსაც მიგმართამ ამ წერილითა.

იმედი გვაქვს, ახალი მაზრის უმფროსი, რომელიც მზრუნველია და მშრომელი სასოფლო შკოლებზე, ბანკებზედ

და სასოფლო დებოებზედ, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამაზედ. მე ნამდვილად ვიცი, რომ, თუ ყოფილიყო რიგიანი სადგომი, მოსწავლეები იქნებოდნენ არამც თუ ოცდათხუთმეტი, როგორც ენა, არამედ ორმოც და ათამდინაც. თუ ამ ზაფხულშიაც არ გადაკეთდა ეს შენობა, მაშინ მასწავლებელი, როგორც ამბობენ, არამც თუ არ მიიღებს ახალ შეგირდებს, არამედ ძველებიც უნდა შეატოვოს.

თანდოლოლი

ბანსხალეზანი

თფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მაგულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა ბანკის ზედამხედველის კომიტეტის თავმჯდომარე, ბანკის წესდების 83 მუხლის ძალითა და 20 მარტს 1879 წელს ზედამხედველის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველით, მოიწვევს სხე-ნებული ბანკის დამწესებლებს მხაშთა ჩვეულებრივის კრებაზე, რომელიც და-ნიშნულია 30 აპრილს 1879, დილის 10 საათზე ბანკის სადგომში.

ბანსახილველი საგნები:

1. ბანსილეა და დამტკიცება 1878 წლის ბანკის ანგარიშისა.
2. რა საზოგადო საჭიროებისათვის უნდა დიხარჯოს ის კაპიტალი, რომელიც დარჩა მოსახმარებელად საზოგადო საჭიროებისათვის.
3. გამოცემა ბანკის წესდების მე-84 მუხლისა, რომელიც შეეხება დამფასებელ კომისიის წევრების ამორჩევასა და დაჯალდოების წესსა.
4. დაჯილდოება იმ კანდიდატებისა, რომელნიც მოწვეულნი იქნებიან გამგეობისა და დამფასებელ კომისიის წევრების თანამდებობის აღმასრულებელად, როდესაც ნამდვილი წევრები არ არიან.
5. ამორჩევა ზედამხედველი კომიტეტის და დამფასებელ კომისიის ყველა წევრებისა.

აღმორჩევა, წილით, ბანკის ბამგეობის თავმჯდომარისა.

(3—3)

რ.ა. გ.ზ.ა.	დ.ლ.	ს.ლ.ა.	II კ.	III კ.	ბელეგრადი	მან.კაპ.	გაყანადა	მან.კაპ.	თფილისის სამაჟრანალო.
თფილისი...	9 21	5 18	კაპ. 8	გაპ. 4	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 27 მარტს.		მრევნ.ს. მაღანზე, წ. ნამძღვარების სასტუმროში.
მცხეთა...	10 11	6 27	85	44	ბავსიის აქეთა მზრის ყველა		ფქვ. თფ. ბანკისა, ფთ.	1 60	აგათეყოფებს მიიღვენ აოველს
ზორი...	11 58	9 43	3	1 58	ქალაქებში.	50	ფქვილი წითელი.	1 40	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური...	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	მერს ფუთი.	1 20	მ.ო. შ.ა.ბ.თ.ს. მერსიფეი და ბა-
სურამი...	1 44	4 90	2 61		პეტერბურს, მარბავს.	2	ბამბა მრეცისა, ფუთი.	7 40	რალევიჩი—შინაგ. ავთა, ქიუჩა-
ქვირილა...	5 49	7 21	3 69		მსმალეთში, შევიც. რაში.	3	— ამერიკისა, ფუთი.	8 50	რინც—ქალის ექიმი და საშვი-
რიონი...	6 57	8 44	4 31		იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაჟენტილი ბამბა ფუთი.	9 70	ლოხნოს ოპერაციები.
სამტრედია...	7 51	9 66	4 93		ინგლისში.	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	6 60	ს.ა.მ.შ.ა.ბ.თ.ს. მერსიფეი—ში-
ახალ-სენაკი...	8 43	10 71	5 47		ფოკბა		— მარაქამისა ფუთი.	3 80	ნაგ. პ. ბახტოვი—საბებიო და ბა-
ზოთი...	9 50	12 24	6 26		ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-		ბარეშუმი წუშური სტ.	2 10	შვის. პეტროვი—თვალის.
ზოთი...	9 3				რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ		მონი, ფუთი.	5 60	მ.თ.შ.ა.ბ.თ.ს. მერსიფეი ში-
ახალ-სენაკი...	10 14	1 53	78		დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და		მონის სანთლი ფუთი.	7 55	ნაგანი ავთიყოფობის.
სამტრედია...	11 5	2 61	1 33		ხლშ. მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. პა-		სტეარინის სანთლი, ფთ.	12 50	ხუთ შ.ა.ბ.თ.ს. მერსიფეი—ში-
რიონი...	12 13	3 84	1 97		ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-		ხორცი მრეცისა, ლიტ.	1 8	ნაგ, ქიუჩარიანც—სიდილიტიკუ-
შვირილა...	1 18	3 84	2 56		სიდან: თფილისისა და ზოთისაკენ		— ცხერისა, ლიტრა.	1 8	ჩი და საზარდო ორგანების.
სურამი...	5 12	1 10	7 34	3 74	ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.ზურ.		საბირი ვედრო.	4 60	პარასკეპ. მერსიფეი—შინაგ.
ხაშური...	5 39	1 37	7 51	3 84	გეთს—ორშ. და პარასკ.		შაქარი, ბრეც. ფუთი.	7 40	ბ. ბახტოვი—საბებიო ქალისა და
ზორი...	7 5	4 89	24 473		წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		— ფხვნილი ფუთი.	5 60	ბავშვების.
მცხეთა...	8 50	6 59	11 39	5 82	და სამზღვარ გარეთ.		შავა გრგვლო, გირვ.	65	შ.ა.ბ.თ.ს. მერსიფეი შინაგ., და
თფილის...	9 31	7 56	12 24	6 26	და ჯიგნის	4	ხეთი ქუჩაქუთისა ფუთი.	11 80	პეტროვი—თვალისა.
					დაბეჭდილის (ხში მიხსალი)	8	მამბაქო, საშულო ფთ.	7 5	